კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2013 წლის საქმიანობის ანგარიში



თბილისი
2014

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

თბილისი 2014

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ქ. თბილისი, პეკინის გაზმ. N28 / (+99532) 2 148 881

procurement.gov.ge / info@procurement.gov.ge

ბეჭდვა: შპს „პოლიგრაფი“ 2312472

სარჩევი

წინასიტყვაობა 2

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზნები და პრინციპები 3

სააგენტოს ძირითადი აქტივობები..... 4

რა შედეგი მივიღეთ..... 7

თეთრი და შავი სიები 29

კონკურსი..... 31

დავების განხილვის საბჭო 32

მონიტორინგი და კომუნიკაცია..... 36

საზოგადოების ინტერესი e-სისტემის მიმართ 37

კონკურენციის პოლიტიკის სფეროში განხორციელებული საქმიანობა..... 39

როგორ შეგვაფასეს..... 42

ჩვენი პარტნიორები..... 43

წინასიტყვაობა

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში უმნიშვნელოვანესი რეფორმები გატარდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. განხორციელებული ცვლილებებით მივიღეთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე, სამართლიანი და ქმედითი შესყიდვების ელექტრონული სისტემა, რომელიც მისი დღევანდელი მდგომარეობით უკვე სანიმუშოდ შეფასდა როგორც სისტემის უშუალო მომხმარებლების, ასევე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. შესყიდვების გამჭვირვალე ელექტრონულმა სისტემამ სახელმწიფო ტენდერები ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა და მნიშვნელოვნად გაამარტივა შესყიდვების პროცედურები. სისტემის გამჭვირვალობისა და მოქნილობის ხარჯზე ხორციელდება კორუფციის სისტემური პრევენცია, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს არამართლზომიერი ქმედების რისკები. შედეგად, სახელმწიფო ტენდერებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კონკურენციის დონე, რამაც უზრუნველყო გადასახადის გადამხდელის სახსრების ხარჯვა უპრეცედენტოდ გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში.

დამკვიდრებულმა ელექტრონულმა სისტემამ, როგორც შესყიდვების ბაზრის და ტენდერებში მონაწილეთა ქმედების ამსახველმა მონაცემთა ვრცელმა ბაზამ მოგვცა საშუალება, ერთის მხრივ, დაგვენახა და შეგვეფასებინა მიღწეული შედეგები, ხოლო, მეორეს მხრივ, მოგვეხდინა არსებული ინფორმაციის ანალიზი სისტემის კიდევ უფო გაუმჯობესებისათვის გადასადგმელი ნაბიჯების გამოსავლენად. როგორც მიმდინარე ანალიზი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების სისტემატური შესწავლა ცხადყოფს, რომ მიღწეული შედეგების მიუხედავად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის სრულყოფის მიზნით სამუშაო კიდევ გასაწევია. შეიძლება ითქვას კიდევაც, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმა უწყვეტ პროცესს გულისხმობს – სფეროს მნიშვნელოვან გამოწვევას სისტემის მომხმარებელთა ცნობიერების და პროფესიონალიზმის ამაღლება წარმოადგენს; რიგ სამუშაოებს სისტემის ფუნქციონალური გაფართოება საჭიროებს; მუდმივ პროცესს განეკუთვნება, მაგალითად, შესყიდვების პროცესში ჩართული მხარეების ქცევის ანალიზი და მონიტორინგი.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, გააცნოს მკითხველს როგორც კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2013 წელს განხორციელებული ძირითადი აქტივობები, ასევე რეფორმის შედეგად მიღებული შედეგები – სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის ზოგადი ტენდენციები.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზნები და პრინციპები

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ძირითადი პრინციპია, ვიყოთ მუდმივი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც საშუალებას მოგვცემს ვუპასუხოთ მომხმარებელთა საჭიროებებს შესაბამისი სერვისების გაწევით და ელექტრონულ სისტემაში დამატებითი ფუნქციების დანერგვით. შესაბამისად, სააგენტო არის მომსახურების გამწევი, რომელიც სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ემსახურება მომხმარებლებს, ითვალისწინებს მათ საჭიროებებს და ქმნის ისეთ სისტემასა და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შემსყიდველი ორგანიზაციების და მიმწოდებლების ეფექტურ და გამჭვირვალე ურთიერთობას.

სააგენტოს ძირითადი მიზნებია:

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვით, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება;
- კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერების მონიტორინგი და ზედამხედველობა.

მიზნების მიღწევის გზაზე სააგენტო საკუთარ თავს შემდეგი კუთხით მოიაზრებს:

- სამართლებრივი და ტექნოლოგიური ცვლილებების ინიცირება და დანერგვა;
- სისტემის მომხმარებელთა საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურების გაწევა;
- სისტემის ეფექტიანი გამოყენების კუთხით მომხმარებელთა ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლება;
- შესყიდვების სფეროში სახელმწიფოს სტრატეგიის და პოლიტიკის შესყიდვების სისტემაში ეფექტურად ასახვა.

სააგენტოს ძირითადი აქტივობები

ზედამხედველობითი, ანალიტიკური, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ფუნქციების განხორციელების ფარგლებში, 2013 წლის განმავლობაში კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განახორციელა მრავალი აქტივობა, რომელთაგან გამოვყოფდით შემდეგ ძირითად საკითხებს:

- **იანვარი 2013 წელი:** შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშგების გამარტივების და დახვეწის მიზნით, შეიქმნა და სისტემაში განთავსდა შესაბამისი მოდული (ePLAN), სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ელექტრონული სახით წარდგენისათვის;
- **იანვარი 2013 წელი:** კონსოლიდირებული ტენდერის პროცედურების კიდევ უფრო გამარტივების მიზნით - შემუშავდა სტანდარტული ხელშეკრულებების ნიმუში რაც უზრუნველყოფს უზუსტობებისა და შეცდომების დაშვების რისკის მინიმუმადე დაყვანას და ამცირებს ადმინისტრაციული რესურსების დანახარჯს;
- **იანვარი 2013 წელი:** შეიქმნა და სააგენტოს ვებ–გვერდზე განთავსდა ვიდეო გაკვეთილები, რომლებიც ასახავს ისეთ საკითხებს როგორიცაა, მაგალითად, სისტემაში რეგისტრაცია, ტენდერში მონაწილეობის მიღება, წლიური გეგმის შევსება, ტენდერის გამოცხადება და სხვა;
- **თებერვალი 2013 წელი:** შეიზღუდა ტენდერის გამოცხადების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა ePLAN-ის მოდულში. ასევე, ტენდერის გამოცხადების შეზღუდვა გავრცელდა იმ შემთხვევაშიც, თუ გეგმით არ არის გათვალისწინებული ის CPV კოდი, რომელზეც ცხადდება ტენდერი;
- **მარტი 2013 წელი:** სისტემას დაემატა ფუნქცია „რჩეული ტენდერები“, რომლის საშუალებით მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა, მონიშნოს ტენდერი და დაამატოს „რჩეულებში“, რისი საშუალებითაც მარტივად შეძლებს მისთვის განსაკუთრებით საინტერესო ტენდერების მსვლელობის დაკვირვებას;

  გარდა ამისა, სისტემის ფილტრებს დაემატა დამატებითი საძებნი ველი - „ძებნა ჩემს ტენდერებში“. ამ ფილტრის გამოყენების შემთხვევაში, მომხმარებელს ეძლევა საშუალება, მარტივად მოძებნოს სასურველი ტენდერი, იმ ტენდერების სიიდან, რომლებშიც მას რაიმე სახით აქვს მონაწილეობა მიღებული;
- **მარტი 2013 წელი:** სისტემას დაემატა დავების საბჭოს მოდერნიზებული ელექტრონული მოდული, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ ტენდერის შესაჩერებლად აქვს საკმარისი საფუძველი, შეუძლია შეაჩეროს ტენდერი „გაასაჩივრე ტენდერი“ ღილაკზე ერთი დაჭერით. შედეგად, დავების საბჭოს ახალმა მოდულმა ხელი შეუწყო არა მხოლოდ შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების უფლებების უკეთ დაცვას, არამედ უფრო გამჭვირვალე გახადა შესყიდვების საფუძველზე წარმოშობილი დავების განხილვის პროცესი;

- **აპრილი 2013 წელი:** თეთრ სიაში შესაყვანად სარეგისტრაციო დოკუმენტაციის განხილვისას გამოვლენილ იქნა ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები. შესაბამისად, თეთრ სიაში დარეგისტრირების მსურველი ორგანიზაციების საყურადღებოდ გამოქვეყნდა რეკომენდაცია სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სწორედ შედგენასთან დაკავშირებით; ამავდროულად გამოქვეყნდა რეკომენდაცია თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის ავტომატურად გაგრძელებისათვის საჭირო პროცედურების შესახებ;
- **აპრილი 2013 წელი:** შემუშავდა და გამოქვეყნდა რეკომენდაციები პროცედურების სწორედ წარმართვისათვის ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებით;
- **მაისი 2013 წელი:** ჩატარდა კონსოლიდირებული ტენდერი ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესყიდვის მიზნით;
- **მაისი 2013 წელი:** ჩატარდა კონსოლიდირებული ტენდერი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების შესყიდვისათვის;
- **ივნისი 2013 წელი:** კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ამოქმედდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ახალი ვებგვერდი – www.tendermonitor.ge, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს, მარტივად მოიძიოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია დაკვირვებისა და მონიტორინგის განხორციელებისათვის;
- **ივნისი 2013 წელი:** განახლდა და სააგენტოს ვებ–გვერდზე გამოქვეყნდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო. მასში აისახა სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებული განმარტებები. სახელმძღვანელოს დაემატა ხელშეკრულების სტატუსების, ელექტრონული გეგმის (e-PLAN), გასაჩივრების ახალი ელექტრონული მოდულის და გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულების მიმდინარეობის ანგარიშის (CMR) მოდულის აღწერა;
- **ივლისი 2013 წელი:** ამოქმედდა ტენდერში განხორციელებული ცვლილებების შეტყობინების მოდული. მოდულის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები, შიდა შეტყობინების მეშვეობით იღებენ ინფორმაციას მათთვის საინტერესო ტენდერებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, კერძოდ, აღნიშნულ ტენდერებში დასმული შეკითხვების და მათზე პასუხების, ტენდერში მიღებული დისკვალიფიკაციის, ტენდერში მიმწოდებლის ან შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ატვირთული დოკუმენტის შესახებ;
- **აგვისტო 2013 წელი:** ჩაირთო SMS შეტყობინებების სერვისი. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციები ასევე მიმწოდებლები, შიდა შეტყობინებასთან ერთად დამატებით SMS–ის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას მათ ტენდერებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

- **აგვისტო 2013 წელი:** განახლდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილს N9 ბრძანება. ცვლილებები შევიდა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ხელშეკრულებისათვის სტატუსის მინიჭების პირობები; სისტემაში რეგისტრაციისათვის საჭირო წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი ზოგიერთი სამართლებრივი ფორმის მქონე შემსყიდველი ორგანიზაციისათვის; ხელშეკრულების მოქმედების ვადა; შავ სიაში დასარეგისტრირებელი პირის გაფრთხილების მექანიზმი;
- **სექტემბერი 2013 წელი**: შემუშავდა მონიტორინგის პროცესების ავტომატიზაციის კონცეფციის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის პროტოტიპი და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისათვის საჭირო ტექნიკური დავალება;
- **ნოემბერი 2013 წელი**: სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას დაემატა Facebook-ით ავტორიზაციის ფუნქცია, რისი საშუალებითაც ნებისმიერ პირს შეუძლია საკუთრი Facebook ანგარიშის მეშვეობით, სისტემაში დარეგისტრირების გარეშე გაიაროს ავტორიზაცია სისტემაში. შედეგად, Facebook-ით ავტორიზებული მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდა შემდეგი ოფციები და მოდულები: „ტენდერები დღეს“, „CMR მოდული“, რომელიც მოიცავს გამარტივებული შესყიდვის შედეგად დადებულ ხელშეკრულებებს და „e-PLAN“ მოდული, სადაც მოცემულია ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის წლიური შესყიდვების გეგმები;
- **ნოემბერი 2013 წელი**: კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა ხშირად დასმული შეკითხვების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს სააგენტოს ცხელ ხაზზე და იურიდიულ დეპარტამენტში მომხმარებლების მიერ ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს და მათზე გაცემულ პასუხებს;
- **დეკემბერი 2013 წელი**: გამოქვეყნდა რეკომენდაცია შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, მიმწოდებლის მხრიდან სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის მკვეთრი განსხვავების შემთხვევაში;
- **დეკემბერი 2013 წელი:** სისტემას დაემატა რიგ შესყიდვის ობიექტებზე Excel-ის ფორმატის დოკუმენტების განთავსების შესაძლებლობა;
- **დეკემბერი 2013 წელი:** შემუშავდა რეკომენდაციის პროექტი საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, კერძოდ მიმწოდებლის ბრუნვის მოთხოვნასთან და ტექნიკურ ცოდნასთან/გამოცდილებასთან დაკავშირებით.

რა შედეგი მივიღეთ

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2010 წლის პირველი დეკემბრიდან დანერგილმა ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ ფართო აღიარება და დაფასება მოიპოვა. სააგენტომ უზრუნველყო გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, სამართლიანი და მარტივი შესყიდვების სისტემის დანერგვა, რომელიც მუდმივად ვითარდება მომხმარებლების საჭიროებების შესაბამისად. სისტემა, სადაც ყველა ყველაფერს ხედავს, განთავსებულია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. დღეს არსებული e-სისტემა მრავალენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული) და მასში განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი ნებისმიერი მომხმარებლისათვის. სისტემის ძირითად უპირატესობას გამჭვირვალობა და სიმარტივე წარმოადგენს. e-სისტემაში ნებისმიერ პირს შეუძლია იხილოს:

- შესყიდვების წლიური გეგმები;
- სატენდერო განცხადებები;
- შესყიდვების სავარაუდო ღირებულებები;
- სატენდერო დოკუმენტაციები, მასში განხორციელებული ცვლილებები და დაზუსტებები, სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით დასმული შეკითხვები და მათზე პასუხები;
- მიმწოდებლის სატენდერო წინადადებები და მათი ფასები;
- სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები და მიმწოდებლებთან გაცვლილი კორესპონდენცია;
- როგორც ელექტრონული ტენდერების, ასევე გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დადებული ხელშეკრულებები და მათში შეტანილი ცვლილებები.

სისტემის გამჭვირვალობა განაპირობებს იმას, რომ მის მომხმარებელთა ჯგუფებს განეკუთვნებიან არა მხოლოდ ტრანზაქციების უშუალო მონაწილეები – შემსყიდველი ორგანიზაციები და მიმწოდებლები, არამედ სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებული ნებისმიერი სხვა პირებიც.

e-სისტემა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მარტივ ტრანზაქციებს ტენდერის მსვლელობის ეტაპზე, ის იძლევა საშუალებას, გამოყენებულ იქნას სისტემაში არსებული ინფორმაცია ბიზნეს პროცესების დახვეწისათვის:

- შემსყიდველ ორგანიზაციებს სისტემა უქმნის შესაძლებლობას, მოიძიონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათთვის რელევანტური ბაზრების შესახებ, იხილონ სხვა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტენდერების შედეგები, გაითვალისწინონ მოძიებული ინფორმაცია საკუთარი ტენდერების წინა მოსამზადებელ პერიოდში და მარტივი პროცედურების გავლით განახორციელონ სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის სისტემაში გამოქვეყნება;

- მიმწოდებლებს სისტემა აძლევს საშუალებას, შეისწავლონ სახელმწიფო სექტორის მოთხოვნა, სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის სპეციფიკა და შესყიდვების მარეგულირებელი წესები, რათა, საჭიროებისამებრ, განავრცონ მათი ბიზნეს პროცესები და გაზარდონ წლიური ბრუნვა ბაზარზე ახალი ნიშების მოპოვებით.

მთლიანად, 2013 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 2,791,085,439 ლარს მიაღწია, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ს წარმოადგენს. აქედან, ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვებით[1] ხელშეკრულებები დაიდო 1,710,643,767 ლარის ოდენობის თანხაზე.

დიაგრამა 1: განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების განაწილება ელექტრონულ შესყიდვებზე და გამარტივებულ შესყიდვებზე



[1] ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვები მოიცავს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით განხორციელებულ ელექტრონულ ტენდერებს, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებს, კონსოლიდირებულ ტენდერებს და სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადებულ კონკურსებს.

ელექტრონული შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებების ღირებულების ჯამური თანხის დაახლოებით 83% მოდის ელექტრონულ და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებზე, რომელთა ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ 1,658,893,441, ხოლო სახელშეკრულებომ 1,427,839,853 ლარი შეადგინა. შესაბამისად, 2013 წლის განმავლობაში e-სისტემის გამოყენებით დაიზოგა 230,000,000 ლარზე მეტი ოდენობის თანხა, რაც ჯამური სავარაუდო ღირებულების დაახლოებით 14%–ს შეადგენს.

ჩატარებული ტენდერები რაოდენობრივი და ღირებულებითი თვალსაზრისით განსხვავებული პროპორციით განაწილდა შესყიდვის ობიექტების ტიპებზე. რაოდენობრივად, ჩატარებული ტენდერების დაახლოებით 55% მოდის საქონლის შესყიდვაზე, მაშინ, როდესაც სამშენებლო სამუშაოების ხვედრითი წილი 19%–ს, ხოლო მომსახურების 26%–ს იკავებს (იხ. დიაგრამა 2). ამისგან განსხვავებით, ღირებულებითი თვალსაზრისით დომინირებენ სამშენებლო სამუშაოები, რომელთა ჯამური სავარაუდო ღირებულება მთლიანად გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულების დაახლოებით 54%–ს შეადგენს. საქონელს და მომსახურებას შესაბამისად 29% და 17% უკავიათ (იხ. დიაგრამა 3). საშუალოდ, სამშენებლო სექტორში გამოცხადებული ტენდერის მოცულობა ამით დაახლოებით 5–ჯერ აღემატება საქონლის და დაახლოებით 4–ჯერ მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის მოცულობას.

დიაგრამა 2: **ტენდერების რაოდენობრივი განაწილება შესყიდვის ობიექტებზე**



დიაგრამა 3: ტენდერების ღირებულებითი განაწილება შესყიდვის ობიექტებზე



	ტენდერის რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია
საქონელი	10,688	475,072,799	416,672,890	58,399,909
სამშენებლო სამუშაოები	3,723	888,714,898	743,751,211	144,963,687
მომსახურება	4,984	295,105,744	267,406,752	27,698,992
	19,395	**1,658,893,441**	**1,427,830,853**	**231,062,588**

დიაგრამა 4 გვიჩვენებს e-სისტემაში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობებს ცალკეული თვეების მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვები მუდმივი ტემპით, ცალკეულ თვეებზე თანაბარი განაწილებით წარიმართა[2].

[2] მე-4 დიაგრამაში მოყვანილი მონაცემები მოიცავს მხოლოდ ელექტრონულ და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერების რაოდენობებს. შესაბამისად, არ არის გათვალისწინებელი კონსოლიდირებული ტენდერები, კონკურსები და შესყიდვის ელექტრონული პროცედურა.

დიაგრამა 4: წლის განმავლობაში გამოცხადებული ტენდერები თვეების მიხედვით



დიგრამა 5-ის მიხედვით, გამოცხადებული ტენდერების უმრავლესობა შედარებით მცირე მოცულობისაა, რაც სახელმწიფო შესყიდვებს ხელმისაწვდომს ხდის მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. 2012 წლის მონაცემებში ანალოგიურად, გამოცხადებული ტენდერების დაახლოებით 80%-ში სავარაუდო ღირებულება არ აღემატებოდა 50,000 ლარს.

დიაგრამა 5: ელექტრონული ტენდერების სავარაუდო ღირებულებების განაწილება



დიაგრამა 6: ტენდერების რაოდენობები სტატუსების მიხედვით



საბოლოო სტატუსების მიხედვით 2013 წელს 2012-თან შედარებით დაახლოებით 3,5 პროცენტული პუნქტით იმატა იმ ტენდერების რაოდენობამ, რომელთაც მიენიჭათ სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“[3].

მე-7 დიაგრამაში ჩანს, რომ იმ ტენდერების პროცენტული წილი, რომელთაც მიენიჭათ სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“ წლიდან წლამდე იზრდება. პროგრესის გამომწვევ შემდეგ ორ ფაქტორზე შეიძლება ყურადღების შეჩერება: არშემდგარი, შეწყვეტილი და უარყოფითად დასრულებული ტენდერების რაოდენობის შემცირებაზე დადებით გავლენას ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან შესყიდვების დაგეგმვის პროცესების კვალიფიციურად წარმართვა. ამავდროულად, აღნიშნული სტატუსის ტენდერების წილის შემცირებაზე დადებითად მოქმედებს კერძო სექტორის მეტი დაინტერესება სახელმწიფო ტენდერების მიმართ. მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, არშემდგარი, უარყოფითად დასრულებული და შეწყვეტილი ტენდერების შედარებით მაღალი 30%-იანი მაჩვენებელი რჩება ერთ-ერთ ძირითად პრობლემურ საკითხად და საჭიროებს როგორც მეტ ყურადღებას შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან შესყიდვების დაგეგმვის და ტენდერების წინა მოსამზადებელ ეტაპზე, ასევე სააგენტოს მხრიდან სისტემის მიმზიდველობის კიდევ უფრო ამაღლებას და განსაკუთრებით შესყიდვების დაგეგმვის ფაზის წარმართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების/მეთოდოლოგიების შემუშავებას.

[3] ტენდერების სტატუსების ამსახველ, მე-6 და მე-7 დიაგრამებში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა აღემატება საბოლოო სტატუსის მქონე ტენდერების ჯამურ ოდენობას. სხვაობა, რომელმაც 2013 წლის ბოლოს შეადგინა 978 ტენდერი, ასახავს იმ ტენდერების რაოდენობას, რომელთაც წლის ბოლოს მინიჭებული ჰქონდათ შუალედური სტატუსი (მაგ. „შერჩევა-შეფასება“).

დიაგრამა 7: სტატუსების განაწილება



უკანასკნელ წლებთან შედარებით, 2013 წლის განმავლობაში კიდევ უფრო იმატა სისტემის რეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ, რაც, უმეტესწილად, ახალი მიმწოდებლების რეგისტრაციამ განაპირობა. მე–8 დიაგრამა ასახავს ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლების რეგისტრაციის დინამიკას, საიდანაც ჩანს, რომ 2013 წელს მიმწოდებლების რეგისტრაციის რაოდენობამ 2012 წლის მაჩვენებელს საგრძნობლად გადააჭარბა. 2013 წლის განმავლობაში სისტემას 4,576 ახალი მიმწოდებელი შეემატა, რაც 30%–ით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სისტემაში მიმწოდებლების მკვეთრი მატებისგან განსხვავებით, შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა შემსყიდველი ორგანიზაციების რაოდენობა. 2013 წლის განმავლობაში სისტემას დაახლოებით 350 შემსყიდველი ორგანიზაცია შეემატა, რაც წლის ბოლოს რეგისტრირებული ორგანიზაციების 10%–ზე ნაკლებია და იმის მანიშნებელია, რომ აქტიური შემსყიდველი ორგანიზაციების რეგისტრირების პროცესი დღეს დღეისობით პრაქტიკულად დასასრულს უახლოვდება და სისტემა ფაქტობრივად სრულად ასახავს ქვეყნის მასშტაბით ოპერირებადი შემსყიდველი ორგანიზაციების აქტივობებს. თუკი არ ჩავთვლით იმ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც სარგებლობენ სტუმრის სტატუსით, 2013 წლის ბოლოსთვის e-სისტემის რეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობამ მთლიანობაში 20,000–ს გადააჭარბა.

დიაგრამა 8: მიმწოდებლების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის დინამიკა



ისევე, როგორც 2012 წელს, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობებს და მიმწოდებლების რეგისტრაციებს შორის კორელაცია იგრძნობა 2013 წელსაც (იხ. დიაგრამა 4 და 8), რაც იმის მანიშნებელია, რომ, ერთის მხრივ, კერძო სექტორი აქტიურად აკვირდება გამოცხადებულ ტენდერებს სტუმრის სტატუსის გამოყენებით, ხოლო, მეორეს მხრივ, სახეზეა გარკვეული კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა e-სისტემით შექმნილი ახალი შესაძლებლობების შესახებ.

სისტემაში დარეგისტრირებული მიმწოდებლების განაწილება სამართლებრივი ფორმების მიხედვით მოყვანილია მე–9 დიაგრამაში, რომლის მიხედვით სისტემის მომხმარებლების უმეტესობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და ინდივიდუალურ მეწარმეებს განეკუთვნება.

დიაგრამა 9: მიმწოდებლების განაწილება სამართლებრივი ფორმების მიხედვით



2013 წლის განმავლობაში სისტემაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების რიცხვი 6,893–დან 9,677–მდე გაიზარდა, რაც ქვეყანაში მოქმედი აქტიური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების 16%–ს შეადგენს. 2,800–დან 3,742–მდე გაიზარდა ინდივიდუალურ მეწარმეთა რაოდენობა. დაფიქსირებული მაჩვენებელი ქვეყანაში მოქმედ ინდმეწარმეთა დაახლოებით 2.6%–ს შეადგენს. წლის ბოლოსთვის, ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლებს ქვეყანაში მოქმედ მეწარმე ფიზიკური პირების დაახლოებით 0.75% – 1,336 მეწარმე ფიზიკური პირი განეკუთვნებოდა.

დღეს დღეისობით, ერთიანი ელექტრონული სისტემა ოპერირებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსებულია სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოს, შესყიდვებისთვის რელევანტური საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი ვერსიები. ამასთან, სისტემაში დანერგილია ევროკავშირის მიერ შემუშავებული შესყიდვის ობიექტთა კლასიფიკატორი, რომელიც ამარტივებს საინტერესო ტენდერების იდენტიფიცირებას უცხოური კომპანიებისათვის. შედეგად, 2013 წლის ბოლოს მონაცემებით სისტემაში დარეგისტრირებული უცხოური კომპანიების რაოდენობამ 300–ს გადააჭარბა. უცხოური კომპანიების ცალკეულ ქვეყნებზე განაწილება მოცემულია ქვემოთ მოყვანილ მე–10 დიაგრამაში.

დიაგრამა 10: არარეზიდენტი კომპანიების განაწილება საზღვარგარეთის ქვეყნებზე

2013 წლის მდგომარეობით უცხოური კომპანიების რაოდენობა ერთიან ელექტრონულ სისტემაში-329


51
44
24
21
13
11
11
11
11
10
9
8
8
7
6
6
5
5
5
5
4
4
4
3
3
3
3
3
2
2
2
2
2
2
1
1
1

დიაგრამა 11: არარეზიდენტ მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები

2012 წელი



2013 წელი



2012 წელი



2013 წელი



გარკვეული სამართლებრივი ფორმის მომხმარებლები ერთიან ელექტრონულ სისტემაში ოპერირებენ როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, ასევე მიმწოდებლის სტატუსითაც. ასეთი ტიპის მომხმარებლების უმრავლესობას განეკუთვნებიან საწარმოები, რომელთა აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფოს 50%–ზე მეტი წილობრივი 428 საწარმოს მიერ, სისტემის მეშვეობით, გამოცხადდა 4,666 ტენდერი რომელთა საშუალებითაც გაფორმდა ხელშეკრულებები ჯამში 162,689,550 ლარის ოდენობის თანხაზე. ამავდროულად, აღნიშნული ტიპის 161 მომხმარებელი სისტემაში ოპერირებდა მიმწოდებლის სტატუსით, რის ფარგლებშიც მათ გაუფორმდათ 88,720,400 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები.

2013 წლის ბოლოს სისტემაში დარეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობამ 16,447 შეადგინა. მიმწოდებლების რეგიონებზე განაწილების კუთხით თბილისი ლიდერობს. დედაქალაქზე სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების 53% მოდის, რომელთანაც 2013 წლის განმავლობაში ხელშეკრულებების 70% დაიდო. თბილისში რეგისტრირებულ მიმწოდებლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების 74% განაწილდა (იხ. დიაგრამა 12 და 13), რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს რეგიონებში დარეგისტრირებული მიმწოდებლები თბილისის მიმწოდებლებს კონკურენტუნარიანობით ჩამორჩებიან.

დიაგრამა 12: მიმწოდებლების განაწილება რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 13: რეგიონის მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები

2013 წელს მიმწოდებლების ხელშეკრულების რაოდენობები რეგიონების მიხედვით



2013 წელს, 2012–თან შედარებით, სახელმწიფო ტენდერებში 15%–ით იმატა კონკურენციის დონემ. თუ, ყველა ტენდერის ჭრილში 2012 წელს ტენდერში პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 1,75 პრეტენდენტს, 2013 წლისთვის ანალოგიური მაჩვენებელი აღემატება 2–ს (2.01). დიაგრამა 14 გვიჩვენებს, რომ გარკვეულ CPV ჯგუფებში პრეტენდენტების საშუალო რაოდენობამ გადააჭარბა სამ პრეტენდენტსაც. პრეტენდენტების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ერთ–ერთ წამყვან სფეროს სამშენებლო სექტორი განეკუთვნება, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე ღირებულებითი თვალსაზრისით დომინირებს. პრეტენდენტების საშუალო მაჩვენებელი კორელირებს დაფიქსირებულ ეკონომიასთან: 2013 წელს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერებში დაფიქსირდა 16.3%–ის ოდენობის დანაზოგი, რომელმაც საქონლის და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში შესაბამისად 12.3% და 9.4% შეადგინა (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 14: ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის მიხედვით

2012 წელი

2012 წელს ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია საშუალო მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით



	შესყიდვის კატეგორია	ტენდერის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	მონაწილეთა საშუალო	ეკონომია
1	90900000- დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება	219	555	2.53	2,434,292
2	14800000- სხვადასხვა არალითონური მინერალური პროდუქტი	5	12	2.40	12,923
3	39800000- საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია	82	197	2.40	239,157
4	45400000- შენობის დასრულების სამუშაოები	1,379	3,295	2.39	16,407,804
5	22800000- ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/ წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები	159	380	2.39	505,125
6	09200000- ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები	70	166	2.37	404,205
7	48700000- პროგრამული პაკეტების მომსახურე პროგრამები	28	64	2.29	112,026
8	44300000- კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები	34	77	2.26	114,102
9	37500000 თამაშები და სათამაშოები	29	65	2.24	749,083
10	33700000 პირადი ჰიგიენის საშუალებები	91	202	2.20	541,210
	ჯამი	2,096	5,013		21,519,927

2013 წელი

2013 წელს ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია საშუალო მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით



	შესყიდვის კატეგორია	ტენდერის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	მონაწილეთა საშუალო	ეკონომია
1	18300000- ტანსაცმელი	34	118	3.47	440,615
2	45400000- შენობის დასრულების სამუშაოები	957	3,045	3.18	21,919,895
3	45300000- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	526	1,591	3.02	13,148,190
4	18800000- ფეხსაცმელი	48	143	2.98	1,430,286
5	45200000- მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	2,076	5,867	2.83	104,954,827
6	31300000- იზოლირებული მავთული და კაბელი	45	127	2.82	185,944
7	90900000- დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება	185	511	2.76	2,094,628
8	39800000- საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია	97	267	2.75	399,315
9	45100000- სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	164	438	2.67	4,940,775
10	19600000- ტყავის, ტექსტილის, რეზინისა და პლასტმასის ნარჩენი	8	21	2.63	23,420
	ჯამი	4,140	12,128		149,537,895

სამშენებლო სექტორში ჩატარებული ტენდერების მაღალი ხვედრითი წილი და მიღწეული ეკონომია განაპირობებს იმას, რომ აღნიშნული სექტორი განეკუთვნება სწორედ იმ სფეროს, სადაც იზოგება (აბსოლუტურ მაჩვენებელში გამოსახული) ყველაზე მეტი სახსრები (იხ. დიაგრამა 15).

დიაგრამა 15: ტოპ 10 CPV ჯგუფი ეკონომიის მიხედვით

2012 წელი

2012 წელს ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია ეკონომიის მიხედვით



	შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	სახელშკერულებო ღირებულება	ეკონომია	%
1	45200000- მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	617,661,689	559,802,752	57,858,937	9
2	45400000- შენობის დასრულების სამუშაოები	109,944,385	93,537,813	16,406,572	15
3	77300000- მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები	22,499,500	16,569,450	5,930,050	26
4	66500000- სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	25,892,151	21,244,070	4,648,081	18
5	30200000- კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	30,093,330	25,969,581	4,123,749	14
6	33600000- ფარმაცევტული პროდუქტები	23,497,910	19,629,245	3,868,665	16
7	30100000- საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა	17,183,414	13,479,732	3,703,682	22
8	33100000- სამედიცინო მოწყობილობები	21,650,039	18,509,210	3,140,829	15
9	71300000- საინჟინრო მომსახურებები	14,995,600	11,876,304	3,119,296	21
10	45300000- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	22,539,505	19,804,631	2,734,874	12
	ჯამი	905,957,523	800,422,788	105,534,735	12

2013 წელი

2013 წელს ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია ეკონომიის მიხედვით



	შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	სახელშკერულებო ღირებულება	ეკონომია	%
1	45200000- მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	711,952,476	606,997,649	104,954,827	15
2	45400000- შენობის დასრულების სამუშაოები	106,392,495	84,472,600	21,919,895	21
3	45300000- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	50,541,038	37,392,848	13,148,190	26
4	33600000- ფარმაცევტული პროდუქტები	34,055,030	28,569,985	5,485,045	16
5	45100000- სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	19,828,889	14,888,114	4,940,775	25
6	55500000- სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება	39,990,933	35,138,276	4,852,657	12
7	71300000- საინჟინრო მომსახურებები	16,218,900	11,760,173	4,458,727	27
8	33100000- სამედიცინო მოწყობილობები	32,870,848	28,738,408	4,132,440	13
9	34300000- ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის	22,234,241	18,228,204	4,006,037	18
10	30200000- კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	48,468,770	44,739,247	3,729,523	8
	ჯამი	1,082,553,620	910,925,504	171,628,116	16

მე-16 დიაგრამაში მოყვანილია ის შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებიც ყველაზე ხშირად აცხადებენ ტენდერებს.

დიაგრამა 16: ტოპ–10 შემსყიდველი ორგანიზაცია გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის მიხედვით

2012 წელი

2012 წელს ტოპ 10 შემსყიდველი ორგანიზაცია გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის მიხედვით



	შემსყიდველი ორგანიზაცია	გამოცხადებული ტენდრების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება
1	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	638	55,530,928
2	ქ. თბილისის მერია	594	185,882,453
3	შემოსავლების სამსახური	560	64,809,147
4	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	451	5,988,139
5	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	431	5,075,523
6	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	374	10,897,251
7	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	374	97,147,338
8	საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	363	13,976,002
9	ქალაქ ქუთაისის მერია	354	31,724,852
10	შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი	332	21,662,096
	ჯამი	4,471	492,693,729

2013 წელი

2013 წელს ტოპ 10 შემსყიდველი ორგანიზაცია გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის მიხედვით



	შემსყიდველი ორგანიზაცია	გამოცხადებული ტენდრების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება
1	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	783	89,500,794
2	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	726	46,027,588
3	ქ. თბილისის მერია	705	324,052,372
4	შემოსავლების სამსახური	617	56,912,752
5	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	482	6,040,836
6	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	475	16,767,572
7	შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი	384	21,331,442
8	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	380	6,682,884
9	ქალაქ ქუთაისის მერია	357	31,206,748
10	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	331	5,413,111
	ჯამი	5,240	603,936,099

ისევე, როგორც 2012 წელს, 2013 წლის განმავლობაშიც ჩატარდა ტენდერები, სადაც მიმწოდებელთა რაოდენობამ 20-ს გადააჭარბა.

დიაგრამა 17: მიმწოდებლების რაოდენობის მიხედვით ტოპ–10 ტენდერი 2012–2013 წლებში

2012 წელი

2012 წელს ტოპ 10 ტენდერი სადაც ყველაზე მეტი მიმწოდებელია



	ტენდერის ნომერი	მიმწოდებლის რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია	%
1	SPA120026044	27	1,449,000	949,500	499,500	34
2	SPA120027113	25	20,180	8,789	11,391	56
3	SPA120026029	24	30,372	14,998	15,374	51
4	SPA120026966	22	16,000	8,297	7,703	48
5	SPA120025610	21	242,900	159,800	83,100	34
6	SPA120001777	20	17,222	8,699	8,523	49
7	SPA120004857	17	468,592	221,999	246,593	53
8	SPA120000191	15	102,349	67,000	35,349	35
9	SPA120025553	15	47,980	28,222	19,758	41
10	SPA120001652	14	98,300	49,000	49,300	50
	ჯამი		**2,492,895**	**1,516,304**	**976,591**	**39**

2013 წელი

2013 წელს ტოპ 10 ტენდერი სადაც ყველაზე მეტი მიმწოდებელია

	ტენდერის ნომერი	მიმწოდებლის რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია	%
1	SPA130000892	34	28,000	8,650	19,350	69
2	SPA130002992	25	185,000	77,776	107,224	58
3	SPA130002283	23	92,300	37,399	54,901	59
4	SPA130026518	22	1,007,574	609,979	397,595	39
5	SPA130003701	21	452,737	347,077	105,660	23
6	SPA130002397	20	1,500,000	1,050,000	450,000	30
7	SPA130027185	20	586,400	279,985	306,415	52
8	SPA130002183	19	848,700	349,000	499,700	59
9	SPA130004423	19	397,140	210,500	186,640	47
10	SPA130004443	19	1,800,000	970,000	830,000	46
	ჯამი		**6,897,851**	**3,940,366**	**2,957,485**	**43**

აღნიშნული ტიპის ტენდერების ტოპ–ათეულში 2013 წელს საშუალოდ 42.9%–ის ოდენობის ეკონომია დაფიქსირდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ჩვეულ მაჩვენებელს. გარემოება მიგვითითებს, ერთის მხრივ, გაუმჯობესების პოტენციალზე შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან შესყიდვების დაგეგმვის პროცესის წარმართვისას (რომლის ფარგლებშიც საჭიროა, ასევე განხორციელდეს ბაზრის მოკვლევა, საჭიროების დაკმაყოფილების სხვადასხვა ალტერნატივების სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრა, საუკეთესო ალტერნატივის დადგენა და სათანადო სპეციფიკაციების შემუშავება), ხოლო მეორეს მხრივ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაძლებლობაზე, უმეტეს შემთხვევებში, დაიყვანოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის სატენდერო წინადადების ფასი მის რეალურ საბაზრო მაჩვენებელზე.

თეთრი და შავი სიები

თეთრი სია წარმოადგენს კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებულ მიმწოდებლებს კიდევ უფრო უმარტივდებათ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა, კერძოდ:

- ტენდერში მონაწილეობისას თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი თავისუფლდება საკვალიფიკაციო მონაცემების (საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ, ცნობა სასამართლოდან გადახდისუუნარობის საქმის არარსებობის შესახებ და ა.შ.) დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან.
- წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევრის ოდენობის გარანტიას (ნაცვლად წინასწარ გადასახდელი თანხის ტოლი ოდენობის გარანტიისა);
- თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლოა გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.

თეთრ სიაში ყოფნა მიმწოდებლების საიმედოობას, კეთილსინდისიერებასა და პრესტიჟულობას უსვამს ხაზს. თეთრ სიაში მიმწოდებლის დარეგისტრირება ხდება 1 წლის ვადით. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის განხილვისას ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომების გამოვლენის შედეგად, 2013 წელს სააგენტომ გამოაქვეყნა შესაბამისი რეკომენდაციები. შედეგად, თეთრი სიის წარმოების პროცედურა კიდევ უფრო დაიხვეწა. 2013 წლის განმავლობაში თეთრ სიაში რეგისტრირებულ იქნა 36 მიმწოდებელი.

დიაგრამა 18: თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობა



თეთრი სიის პარალელურად, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს შავ სიას. შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებლებს ერთი წლის განმავლობაში ეკრძალებათ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. რეესტრი ინტეგრირებულია e-სისტემაში, რის შედეგად ტენდერში მონაწილეობა შეუძლებელი ხდება შავ სიაში მყოფი მიმწოდებლებისათვის. 2013 წლის განმავლობაში შავ სიაში შევიდა 155 მიმწოდებელი.

დიაგრამა 19: შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობა



შავ და თეთრ სიაში მყოფი მიმწოდებლების შესახებ მონაცემები განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge.

კონკურსი

კონკურსი ტენდერების ალტერნატიული შესყიდვის საშუალებაა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი ტიპისა თუ შინაარსის საპროექტო მომსახურების შესყიდვა. შესყიდვის ეს საშუალება სახელმწიფო სექტორის მხრიდან ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

კონკურსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი თავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. 2013 წლის განმავლობაში სულ 405 კონკურსი გამოცხადდა, რომელთა სტატუსები მოცემულია მე–20 დიაგრამაში.

 დიაგრამა 20:

2013 წელს ჩატარებული კონკურსები სტატუსების მიხედვით



სულ 405 გამოცხადებული კონკურსი

დავების განხილვის საბჭო

2010 წლის 10 დეკემბრიდან სააგენტოში ფუნქციონირებს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო, რომლის მოდერნიზირებული მოდული ელექტრონულ სისტემას დაემატა 2013 წლის მარტში. დღეს დღეისობით, ღილაკზე თითის ერთი დაჭერით ხორციელდება ტენდერის გასაჩივრება და მისი 10 სამუშაო დღის ვადით შეჩერება. აღნიშნული 10 დღიანი პერიოდის განმავლობაში ხორციელდება საჩივრის განხილვა და შედეგების სისტემაში განთავსება დავების განხილვის საბჭოს მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია 6 წევრით. საბჭოს წევრთა შემადგენლობა თანაბრად ნაწილდება სააგენტოსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე.

დავების განხილვის საბჭოს ფუნქციონირების დაწყების დღიდან შემოსული საჩივრების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2011 წელს მხოლოდ 67, 2012–ში 128, ხოლო 2013 წელს შემოსული საჩივრების რაოდენობამ 393–ს მიაღწია (იხ. დიაგრამა 21).

დიაგრამა 21: დავების განხილვის საბჭოში შემოსული საჩივრების რაოდენობა



დავების საბჭო არა მხოლოდ ხელს უწყობს შესყიდვებში მონაწილე სუბიექტებს, დაიცვან მათი უფლებები, არამედ ის უზრუნველყოფს სწრაფ, მიუკერძოებელ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს, ხდის უფრო გამჭვირვალეს შესყიდვების პროცესს და ახორციელებს კორუფციის სისტემურ პრევენციას.

შემოსულ საჩივრებზე მინიჭებული სტატუსების რაოდენობრივი სტატისტიკა მოყვანილია 22-ე დიაგრამაში. დიაგრამა 23 შეიცავს იმ 10 CPV ჯგუფს, რომლებზეც გამოცხადებულ ტენდერებზე შემოვიდა ყველაზე მეტი საჩივარი. სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლების რეგიონული განაწილების ანალოგიურად მომჩივანთა უმრავლესობა თბილისში რეგისტრირებული სუბიექტია. (იხ. დიაგრამა 24).

დიაგრამა 22: დავების განხილვის საბჭოში შემოსული საჩივრები სტატუსების მიხედვით



დიაგრამა 23: შემოსული საჩივრები CPV ჯგუფების მიხედვით



	შესყიდვის ობიექტი		რაოდენობა
1	4520000	მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებელო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	68
2	3020000	კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	23
3	4540000	შენობის დასრულების სამუშაოები	22
4	5550000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება	18
5	4530000	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	17
6	3360000	ფარმაცევტული პროდუქტები	15
7	7720000	სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები	12
8	0920000	ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები	11
9	3010000	საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა	10
10	3310000	სამედიცინო მოწყობილობები	7
	ჯამი		203

დიაგრამა 24: მომჩივანთა განაწილება რეგიონების მიხედვით



2012 და 2013 წლებში დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან სასამართლოში გასაჩივრდა სულ 15 გადაწყვეტილება. დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლომ 11 სარჩელის შემთხვევაში ძალაში დატოვა და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. დარჩენილი 4 საქმე განხილვის პროცესშია.

დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ერთ–ერთ ტიპს განეკუთვნება საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგი. დღესდღეისობით საჩივრების 45% საბჭოს მხრიდან შემდგომი ნაბიჯების გადადგმას – დამატებითი კორესპონდენციის წარმართვას საჭიროებს. უნდა აღინიშნოს, რომ 2 საჩივრის შემთხვევაში განხორციელდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, რადგან შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არ იქნა შესრულებული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მონიტორინგი და კომუნიკაცია

2013 წლის განმავლობაში სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შედგენილია 8 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სულ 48 სამართალდამრღვევი პირის მიმართ და გადაგზავნილ იქნა სასამართლოში შემდგომი რეაგირებისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულია 8 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საიდანაც 4 საქმეზე შეწყვიტა საქმის წარმოება (სასამართლომ მიიჩნია, რომ გასული იყო 6 თვიანი ვადა, შეწყვეტილი საქმეები გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში, ამ ეტაპზე გასაჩივრებულია 17 სამართალდამრღვევი პირის მიმართ შედგენილი საქმე სააპელაციო სასამართლოში).

სასამართლო 4 ადმინისტრაციული ოქმის შემთხვევაში შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნით, 2013 წელს სასამართლოს მიერ არც ერთ შემთხვევაში არ იქნა გამოყენებული საჯარიმო სანქცია.

მიღებულია და დამუშავებულია 6,495 კორესპონდენცია და გასულია 3,643 წერილი/რეკომენდაცია.

სისტემის მომხმარებლის სხვადასხვა საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით e-სისტემის მეშვეობით გაგზავნილია 10,094,002 სისტემური შეტყობინება და 46,457 მოკლე ტექსტური შეტყობინება.

საზოგადოების ინტერესი e-სისტემის მიმართ

ელექტრონული შესყიდვების წარმატებას და მისდამი დიდი ინტერესის არსებობას ხაზს უსვამს სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის www.procurement.gov.ge ვიზიტორთა რაოდენობა (იხ. დიაგრამები 25 და 26). დიაგრამებიდან იკვეთება, რომ ვებგვერდმა დაინტერესება გამოიწვია მსოფლიოს უმეტესი ნაწილის მხრიდან. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 4 წუთს აღემატება, რაც ვიზიტორთა მხრიდან ვებგვერდის შინაარსის მიმართ ინტერესზე მიუთითებს.

დიაგრამა 25: სააგენტოს ოფიციალური ვებ–გვერდის ვიზიტორების სტატისტიკა



ვიზიტები	უნიკალური ვიზიტორები	გვერდის ნახვა	გვერდები/ვიზიტი	ახალი ვიზიტის ხანგრძლივობა	% ახალი ვიზიტები
2,008,666	239,245	5,034,833	2.51	00:04:14	10.80%

დიაგრამა 26: სააგენტოს ოფიციალური ვებ–გვერდის ვიზიტორების სტატისტიკა ადგილმდებარეობის მიხედვით



	ქვეყანა	ვიზიტები	% ახალი ვიზიტი	ახალი ვიზიტები	საშუალო ვიზიტის ხანგრძლივობა
1	საქართველო	1,972,921	10.56%	208,259	00:04:15
2	თურქეთი	3,381	33.39%	1,129	00:04:11
3	გერმანია	3,145	24.20%	761	00:03:44
4	უკრაინა	2,602	25.13%	654	00:04:47
5	აშშ	1,903	37.78%	719	00:03:23
6	რუსეთი	1,496	47.93%	717	00:03:35
7	ინდოეთი	1,226	68.92%	845	00:05:03
8	იტალია	1,107	30.53%	338	00:03:36
9	დიდი ბრიტანეთი	837	31.30%	262	00:03:26
10	ჩინეთი	828	24.28%	201	00:02:43
11	სომხეთი	787	23.89%	188	00:02:39
12	საფრანგეთი	739	28.28%	209	00:03:42
13	არაბეთის გაერთიანებული საემიროები	633	17.54%	111	00:08:26
14	აზერბაიჯანი	581	26.68%	155	00:03:38
15	პოლონეთი	535	18.13%	97	00:02:49

კონკურენციის პოლიტიკის სფეროში განხორციელებული საქმიანობა

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის არეალის შესახებ შეთანხმებით (DCFTA), ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა (ENP AP) და აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუკების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც ითვალისწინებდა კონკურენციის სფეროში რეფორმის გაგრძელებას და ამ თვალსაზრისით ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ ევროკომისიამ აღიარა საქართველოს მიერ კონკურენციის სფეროში საკმარისი პროგრესის მიღწევა საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის, ეკონომიკისა და შესაბამისი საკითხების ქვეკომიტეტის მე-10 სხდომაზე და მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაზე, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის არეალის შესახებ შეთანხმება, წარმატებით დასრულდა 2013 წლის 29 ნოემბერს შეთანხმების პარაფირებით.

DCFTA შეთანხმების მოკლე მიმოხილვა:

კონკურენციის შესახებ შეთანხმების თავი ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებას, გააჩნდეთ კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო.

ხელშეკრულება არ ზღუდავს მხარეებს, რომ შექმნან ან შეინარჩუნონ სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები ან მიანიჭონ საწარმოს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულება საქართველოს აკისრებს შემდეგ ვალდებულებებს:

- ანტიკონკურენციული და შერწყმების მარეგულირებელი კანონმდებლობის შენარჩუნებას და მის იმპლემენტაციას;
- კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს შენარჩუნებას;
- სუბსიდიების საჯაროობის უზრუნველყოფას;
- შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველომ ევროკავშირს 2 წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში იმ სუბსიდიის შესახებ, რომელიც გაცემულია მთავრობის ან ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიერ საქონლის წარმოებაზე. ანგარიში წარდგენილად ითვლება, თუ შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებგვერდზე;

- სერვისის მიწოდებაზე გაცემული ცალკეული სუბსიდიის შესახებ ანგარიშის წარდგენა ევროკავშირისთვის უნდა მოხდეს მოთხოვნის საფუძველზე.

კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფის და კანონის სათანადო აღსრულების უზრუნველსაყოფად „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას.
სააგენტომ შეიმუშავა და 2013 წლის 11 მარტს საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი სამართლებრივი აქტების პროექტები:

- სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესის შესახებ;
- საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურების შესახებ;
- ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრის შესახებ;
- სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ.

აღნიშნული სამართლებრივი აქტების მიღება გადაიდო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავების გამო, რომელზეც 2012 წლის ნოემბრიდან მუშაობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. კანონში ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს ინსტიტუციურ ცვლილებას, რაც გულისხმობს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაყოფას და დამოუკიდებელი კონკურენციის ორგანოს შექმნას. კანონში შესატანი ცვლილებების საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით გაიმართა რამდენიმე შეხვედრა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. სააგენტომ თავის მხრივ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტზე მოამზადა შენიშვნები და წარუდგინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 19 მარტს. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი წარედგინა საქართველოს მთავრობას განსახილველად.

არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობების ფარგლებში სააგენტომ განიხილა კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებული განცხადებები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეხებოდა საგადახდო ბაზარს და სახელმწიფოს მხრიდან საბაჟო საწყობისათვის შესაძლო ექსკლუზიური უფლების მინიჭებას.

ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით სააგენტო ევროკომისიასთან შეთანხმებით თანამშრომლობდა შვედეთის კონკურენციის სააგენტოსთან გრძელვადიანი თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში. პროექტის დამფინანსებელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA). პროექტის მთავარი მიზანია კონკურენტული გარემოს შექმნა, სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მისი საქმიანობა გახდეს უფრო გამჭვირვალე და ეფექტიანი, რაც ხანგრძლივ ვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას ევროპულ ბაზარზე.
პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა:

- კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;
- შესაბამისი სახელმწიფო მოხელეები;
- დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები;
- მოსამართლეები;
- კერძო სექტორი.

პროექტის ფარგლებში სააგენტოს თანამშრომლებისთვის, სხვა სახელმწიფო მოხელეებისა და მოსამართლეებისთვის ჩატარდა 14 ტრეინინგი და 2 სასწავლო ვიზიტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლისათვის დაგეგმილი ღონისძიებების გადახედვა მოხდა დაგეგმილ ცვლილებებთან და ახალ გამოწვევებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

სააგენტო ასევე აქტიურად თანამშრომლობდა უნგრეთის კონკურენციის სააგენტოსთან, სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს OECD-ისა და უნგრეთის კონკურენციის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ რეგიონულ ფორუმებში.

როგორ შეგვაფასეს

European Bank for Reconstruction and Development

საქართველო I ადგილზე იმყოფება EBRD-ის რეგიონალურ 26 ქვეყანას შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) 2012 წლის რეგიონალური სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თვითშეფასების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში ასახულია მაჩვენებლები ელექტრონული შესყიდვების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შესახებ. მუქი წითელი ფერის შკალა ასახავს ქულებს, რომლებიც ენიჭება ელექტრონული შესყიდვების ძირითადი ინსტრუმენტების დარეგულირების ხელშემწყობ ფაქტორებს ეროვნულ კანონმდებლობაში, ხოლო ღია წითელი ფერის შკალა - ელექტრონული შესყიდვების მექანიზმების დარეგულირების ხელისშემშლელ გარემოებებს ეროვნულ კანონმდებლობაში.

http://www.ebrd.com/downloads/research/law/lit113.pdf



საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI) - საქართველო: „საქართველოს შესყიდვების სისტემა შეესაბამება ტექნიკის განვითარების უახლეს სტანდარტებს და წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე გამჭვირვალე და ეფექტიან სისტემას“.

http://transparency.ge/en/post/report/georgia-s-e-procurement

ჩვენი პარტნიორები

საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

SIGMA A joint initiative of the OECD and the EU, principally financed by the EU OECD Creating Change Together

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

თბილისი 2014